სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080152426895516

**# 3843**

**27 / დეკემბერი / 2016 წ.**

## ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

### აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 23 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ SMP160003617 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ სარგებლობაში არსებული სამი ერთეული შენობის და მათში განთავსებული მატერიალურ-ტექნიკური ნივთების ცეცხლსასროლი იარაღით დაცვის მომსახურების (CPV-79700000-გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვას. შესყიდვის ღირებულება შეადგენს 5292 ლარს.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, დაცვამ ცეცხლსასროლი იარაღით უნდა დაიცვას ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ სარგებლობაში არსებული სამი ერთეული შენობა და მათში განთავსებული მატერიალურ-ტექნიკური ნივთები: ქურდობის, ყაჩაღობის, განზრახ განადგურებისა ან/და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაგან. აღნიშნულზე კი, ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნია, სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტს“, რაც დასტურდება, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ დებულებითა და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

### სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის № 266 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებისა“ და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დასაცავ ობიექტებზე დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილებას. ამ მიზნით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სპეციალური საშუალებები.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ SMP160003617 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე